ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4523972

ნომერი: AR1679913

თარიღი : 07.05.2019

გაცემის თარიღი : 30.05.2019

გაცნობის თარიღი : 31.05.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩარგალი , მიმდებარედ (ნაკვეთი 03/037); ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩარგალი , მექანიკურ ავტოსამრეცხაოსა და ქარხანა ,,აგატს" შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შორენა თევზაია პ/ნ 01020004573
- ევდოშვილის 19

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 05 სექტემბრის №2815393 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 07

მაისს №AR1679913 განცხადებით მომართა შორენა თევზაიამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2016 წლის 05 სექტემბრის №2815393 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 05 სექტემბრის №2815393 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი – ნაძალადევი, ჩარგალის ქუჩა, მიმდებარედ (ნაკვეთი 03/037)/ ქალაქ თბილისში, ჩარგლის ქუჩა, მექანიკურ ავტოსამრეცხაოსა და ქარხანა "აგატს" შორის, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.12.04.003.076), მრავალფუნქციური (მაღაზია, აფთიაქი, კაფე, სასტუმრო) შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 06 სექტემბრიდან 2017 წლის 06 აპრილის ჩათვლით.
სამსახურის 2018 წლის 24 ოქტომბრის №4231052 გადაწყვეტილებით სამსახურმა დაადასტურა ქ. თბილისში, ჩარგლის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვეთი 03/037) / ქალაქ თბილისში, ჩარგლის ქუჩაზე მექანიკურ ავტოსამრეცხაოსა და ქარხანა „აგატს“ შორის (ს/კ: N 01.12.04.003.076) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის (მუნიციპალური ინსპექციის) Nბ-19/01171512644-17 08.08.2017 წლის (17-0117305831 01.11.2017; 17-01180382758 07.02.2018; 17-01180883527 29.03.2018) ბრძანებაში დაფიქსირებული არქიტექტურულ-სამშენებლო დარღვევებით განხორციელებული მშენებელობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობა მათი შემდგომი ექსპლუატაციაში მიღების მიზნით.
სამსახურმა ასევე დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილის 2018 წლის 05 დეკემბრის Nბ-19/01182982176-17 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი - ნაძალადევი, ჩარგლის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვეთი 03/037) / ქალაქ თბილისში, ჩარგლის ქუჩაზე მექანიკურ ავტოსამრეცხაოსა და ქარხანა „აგატს“ შორის (ს/კ: N 01.12.04.003.076) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტი (მრავალფუნქციური (მაღაზია, აფთიაქი, კაფე, სასტუმრო) შენობა -IV კლასი) მიღებულ იქნა ექსპლუატაციაში.
წინამდებარე განცხადებით განმცხადებელი ითხოვს დამხმარე ფართობად 197.6 კვ.მ.-ის ნაცვლად 178.8 კვ.მ-ის, საერთო ფართობად 1518.1 კვ.მ-ის ნაცვლად 1499.3კვ.მ-ის დაფიქსირებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ საპროექტო გეგმა-ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 05 სექტემბრის №2815393 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 05 სექტემბრის №2815393 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს დამხმარე ფართობი: 178.8 კვ.მ, საერთო ფართობი 1499.3 კვ.მ.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 05 სექტემბრის №2815393 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 05 სექტემბრის №2815393 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.